

ადამიანური პოტენციალის განვითარება–პროფესიული განათლების სისტემის მთავარი ამოცანა დღევანდელი გლობალიზაციის პირობებში.

ეკატერინე კვიციანი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის IV სემესტრის დოქტორანტი

“აუცილებლად უნდა ვიფიქროთ სიღრმისეული ცოდნის შექმნაზე, იმაზე, რომ ცოდნისა და ღრმა აზროვნების გარეშე საქართველო ვერ იარსებებს!”

ილია II

ანოტაცია

თანამედროვე გლობალიზაციის ეპოქაში კიდევ უფრო გაიზარდა განათლების სისტემის როლი და მნიშვნელობა ქვეყნის საზოგადოებრივი პოტენციალის განვითარებასა და ცხოვრების დონის ამაღლებაში. სწორედ მან უნდა გადაწყვიტოს ქვეყანაში მიმდინარე პერიოდის ძირითადი სამთავრობო სტრატეგიის პრიორიტეტული ამოცანა–შრომის ბაზრის მოთხოვნებზე ორიენტირებული სამუშაო ძალის და შესაბამისად ადამიანური კაპიტალის განვითარება.

აღნიშნულიდან გამომდინარე, წარმოდგენილი სამეცნიერო ნაშრომი მიზნად ისახავს თანამედროვე გლობალიზაციის პირობებში საქართველოში ადამიანური პოტენციალის განვითარების მდგომარეობის დახასიათებას საერთაშორისო კონტექსტში და სამომავლოდ განათლების სისტემის სრულყოფის შედეგად მისი განვითარების პერსპექტივების განსაზღვრას. აღნიშნული მიზნის მისაღწევად ნაშრომში:

- დასაბუთებულია, რომ თანამედროვე გლობალიზაციის ეპოქაში, სწორედ განათლების სისტემის ფუნქციონირების დონესა და ხარისხზე დამოკიდებული ადამიანური პოტენციალის განვითარება და შესაბამისად ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური პროგრესი;
- მიმოხილულია საქართველოს პროფესიული განათლების სფეროში არსებული მდგომარეობა ზოგადად და გამოკვეთილია ძირითადი პრობლემები;
- შესწავლილია განათლების საერთაშორისო მაჩვენებლები, კერძოდ–ადამიანური პოტენციალის განვითარების ინდექსის (აპგი) ტენდენციები და დინამიკა მსოფლიოში, ცალკეული ქვეყნებისა და რეგიონების მიხედვით;
- გაანგარიშებულია და გაანალიზებულია აპგი–ს მნიშვნელობა საქართველოში საერთაშორისო პრაქტიკაში მიღებული ახალი მეთოდოლოგიის შესაბამისად;
- წარმოდგენილია აპგი–ს შედარებითი ანალიზი განვითარებულ ქვეყნებთან მიმართებაში.

ნაშრომის განხილული საკითხების კვლევა ემყარება თანამედროვე პროგრესული საზოგადოებისათვის დამახასიათებელი საზოგადოებრივი და სოციალური მოვლენების მეცნიერული ანალიზის პრინციპებს.

საკვანძო სიტყვები: განათლება, ცოდნა, ანალიტიკური აზროვნება, ადამიანური პოტენციალი, ადამიანური კაპიტალი, პროფესიული მომზადება.

თანამედროვე გლობალიზაციის ეპოქაში ქვეყნის განვითარებისა და ცხოვრების დონის გაუმჯობესების უმნიშვნელოვანეს ფაქტორს ადამიანური რესურსების განვითარება და არსებული შრომითი პოტენციალის ეფექტიანად გამოყენება წარმოადგენს, რაც შეუძლებელია შრომის ბაზრის მოთხოვნებზე ორიენტირებული პროფესიული მომზადების სისტემის განვითარების გარეშე. სწორედ ამიტომ, საქართველოში განათლების პრობლემები არა მარტო კონკრეტული დარგის სპეციალისტებისა და შესაბამისი სამთავრობო ორგანოების, არამედ ეკლესიის მსჯელობის საგანიც გახდა. ამის დასტურია, რომ განსაკუთრებით ბოლო პერიოდში პატრიარქის ქადაგებაში სრულიად არსებითად გამოიკვეთა მთელი რიგი ლოზუნგები და მოწოდებები განათლების შესახებ: „ღრმა ცოდნა გვაკლია“; „უნდა ვიფიქროთ სიღრმისეული ცოდნის შექმნაზე“; „არ არის საკმარისი გვექონდეს ზერელე, ზედაპირული ცოდნა“, „ცოდნისა და ღრმა აზროვნების გარეშე საქართველო ვერ იარსებებს“, „ვფიქრობ დიდი ყურადღება უნდა მივაქციოთ ანალიტიკურ აზროვნებას“¹ და სხვა. ცხადი ხდება, რომ ყველა პრობლემათა შორის განსაკუთრებული როლი და მნიშვნელობა არსებული განათლების სისტემის რადიკალურ გარდაქმნას ენიჭება. მან უნდა უზრუნველყოს ადამიანის ფიზიკური, ინტელექტუალური და მორალური უნარ-ჩვევების განვითარება, ქვეყანაში სიღარიბის დაძლევა, მისი სოციალურ-ეკონომიკური განვითარება, მოსახლეობის შრომითი ცხოვრების ხარისხისა და საბოლოო ჯამში ცხოვრების დონის საგრძნობლად გაუმჯობესება. სწორედ ამიტომ იყო, რომ საქართველოს მთავრობის მიერ ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის მისაღწევად ეკონომიკის შემადგენლებელ ყველაზე კრიტიკულ პრობლემათა შორის სამი მნიშვნელოვანი საკითხი გამოიკვეთა: კერძო სექტორის დაბალი კონკურენტუნარიანობა, ადამიანური კაპიტალის არასაკმარისად განვითარება და ფინანსური რესურსების შეზღუდულობა. საკითხის აქტუალობას განსაზღვრავს ისიც, რომ „გლობალური კონკურენტუნარიანობის 2013-2014 წლის ანგარიშის მიხედვით, საქართველო 105-ე ადგილზეა „საგანმანათლებლო სისტემის ხარისხის“ მიხედვით და 130-ე ადგილზე „კვლევითი და ტრენინგის მომსახურების ხელმისაწვდომობის“ მიხედვით.“²

როგორც აღვნიშნეთ, ადამიანური კაპიტალის განვითარებაში განსაკუთრებული მნიშვნელობა განათლების სისტემის რეფორმასა და საფუძვლიან განვითარებას ენიჭება. აქ კი, წამყვანი როლი პროფესიული განათლების სისტემას განეკუთვნება. მართლაც, მწელია არ დაეთანხმო სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის ილია II-ის მიერ საკვირაო ქადაგებაში მთელი ქვეყნის საზოგადოების მისამართით წარმოთქმულ სიტყვებს, რომ „ადამიანისათვის არ არის საკმარისი ჰქონდეს, ზერელე, ზედაპირული ცოდნა. ადამიანი აუცილებლად უნდა იყოს რომელიმე ერთი დარგის სპეციალისტი, ღრმად უნდა ჰქონდეს შესწავლილი თუნდაც ერთი ფილოსოფოსი, ერთი რომელიმე დიდი პიროვნების ცხოვრება და მოღვაწეობა“³.

¹ილია II. სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი, საკვირაო ქადაგება. ჟურნალი „საპატრიარქოს უწყებანი“ N37, 737, 30 ოქტომბერი, 5 ნოემბერი 2014 წელი, გვ. 3.

²საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია 2020წ. საქართველოს მთავრობა, ნოემბერი 2013წ.

საქართველოში ყოველთვის დიდი ყურადღება ექცეოდა მოსახლეობის განათლების დონის ამაღლებასა და საზოგადოებრივი პოტენციალის განვითარებას. თუმცა მოსახლეობის განათლების მდგომარეობის ერთიანი და ზუსტი მახასიათებლები არ არსებობს. ამ სფეროში არსებული თანამედროვე მდგომარეობის შესახებ საინტერესო ინფორმაციას გვაძლევს საქართველოში 1989 წელს და 2002 წელს ჩატარებული მოსახლეობის აღწერის შედეგები⁴. საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებათა რიცხვი 2005-2006 წლებში სულ 153 ერთეული ირიცხებოდა, მათ შორის 86 სახელმწიფო, ხოლო 67 არასახელმწიფო. 2008-2009 წლისათვის მათი რაოდენობა სულ 34 ერთეული იყო, მათ შორის სახელმწიფო 30, ხოლო კერძო 4 ერთეული. რაც შეეხება სტუდენტთა საერთო რიცხოვნობას მათი რაოდენობაც მნიშვნელოვანი შემცირების ტენდენციით ხასიათდება. თუ 2005-2006 სასწავლო წლებში სახელმწიფო და კერძო საშუალო პროფესიულ სასწავლებლებში 28395 მოსწავლე ირიცხებოდა (20904 სახელმწიფო, ხოლო 7491 კერძო სასწავლებელში), 2009-2010 სასწავლო წელს მათი რიცხოვნობა 2611-მდე შემცირდა, მათ შორის სახელმწიფო 2177, ხოლო 434 კერძო სექტორში. ბოლო 19 წლის განმავლობაში თითქმის ორჯერ შემცირდა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებათა რიცხვი. სულ, 2005 წელს საქართველოში 165 ერთეული უმაღლესი სასწავლებელი ირიცხებოდა, მათ შორის 25 სახელმწიფო, ხოლო 140 კერძო უმაღლესი სასწავლებელი, რომლებშიც სულ 143879 სტუდენტი სწავლობდა. 2015 წლის მდგომარეობით კი 20 სახელმწიფო და 53 კერძო უმაღლესი სასწავლებელი ფუნქციონირებს სადაც შესაბამისად 86247 და 37976 სტუდენტი რეგისტრირებული, ანუ სულ 105733 სტუდენტი, რაც 2005 წელთან შეარებით 13.7%-ითაა შემცირებული. 2014 წლის მონაცემებით უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სტუდენტების მიღებას ახორციელებს 19 სასწავლებელი, მათ შორის 4 კერძო და 15 საჯარო, მაშინ როცა 2013 წელს პროფესიული მომზადების პროგრამები ქონდა 23 სასწავლებელს, მათ შორის 9 კერძოს, 14 საჯაროს⁵.

როგორც ვხედავთ, პროფესიული სწავლება აქტუალობას კარგავს უმაღლესი განათლების კერძო სექტორში, ვინაიდან სულ ერთი წლის განმავლობაში იმ კერძო უმაღლეს სასწავლებელთა რიცხვი, რომლებიც პროფესიული მომზადების პროგრამებს ახორციელებდნენ 9-დან 4-მდე ანუ 2-ჯერ და მეტად შემცირდა. რაც შეეხება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებს 2013 და 2014 წელს პროფესიულ მომზადებას მხოლოდ 7 კერძო სასწავლებელი ახორციელებდა, ხოლო საჯარო სექტორში არცერთი სკოლა აღნიშნულ საქმიანობას არ ახორციელებდა. სამაგიეროდ, მნიშვნელოვანი ზრდის ტენდენციით ხასიათდება პროფესიული და საზოგადოებრივი კოლეჯების საქმიანობა. მათი რიცხვი 2014 წელს 2013 წელთან შედარებით შესაბამისად 17 და 23 ერთეულით გაიზარდა, ესე იგი ზრდის ტენდენციაა როგორც კერძო, ისე საჯარო სექტორში. ამჟამად საქართველოში აღირიცხება სულ 67 ერთეული პროფესიული კოლეჯი (56 კერძო და 11 საჯარო) და 47 ერთეული საზოგადოებრივი კოლეჯი (38 კერძო და 9 საჯარო).

³ილია II, სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი, საკვირაო ქადაგება. ჟურნალი "საპატრიარქოს უწყებანი" N37, 737, 30 ოქტომბერი, 5 ნოემბერი 2014 წელი, გვ. 3.

⁴2014 წლის ნოემბრის აღწერის წინასწარი შედეგები არ მოიცავს მოსახლეობის განათლების მდგომარეობის მახასიათებელ მაჩვენებლებს, რომლებიც მუშავდება და გამოქვეყნდება მოგვიანებით.

⁵საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემები. www.geostat.ge.

განათლების სისტემის მდგომარეობაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს დაფინანსების არსებული სისტემა. ამაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ საქართველოს, 2014 წელს განათლებაზე გაწეული დანახარჯების დონის მიხედვით მსოფლიოს 153 ქვეყანას შორის, ძალზე დაბალი რეიტინგი ქონდა (119-ე ადგილი). ქვეყანაში ბოლო ათი წლის განმავლობაში განათლებაზე საშუალოდ მთლიანი შიდა პროდუქტის ღირებულების 2,9–3,0% იხარჯება (3,2%-ი 2014 წელს), მაშინ, როცა საშუალო ევროპული მაჩვენებელი 5.0–6.0%-ია (შედარებისათვის განათლებაზე გაწეული ხარჯები მთლიან შიდა პროდუქტთან (მშპ) მიმართებაში პოსტსოციალისტურ ქვეყნებში შეადგენს: მოლდავეთი 9.1%; ყირგიზეთი 6.2%; ესტონეთი 5.7%; ლატვია 5.7%; უკრაინა 5.3%; ბელორუსია 4.5%; რუსეთი 4.1%; ტაჯიკეთი 4.0%; აზერბაიჯანი 3,2%; სომხეთი 3,2%; ყაზახეთი 3.1%)⁶. რაც შეეხება საბიუჯეტო ასიგნებებს, განათლების, მეცნიერებისა და პროფესიული მომზადებისათვის სულ სახელმწიფო ბიუჯეტიდან 2014 წლის განმავლობაში გამოყოფილმა სახსრებმა ამ უკანასკნელის 9,02% შეადგინა⁷, საშუალო ევროპული მაჩვენებელი კი 11.0–12.0%-ია. მიუხედავად იმისა, რომ ბოლო წლებში და განსაკუთრებით განათლების სისტემის რეფორმირების პერიოდში მისი დაფინანსების მექანიზმი გარკვეულწილად შეიცვალა, იგი დღეს სერიოზულ გადახედვას საჭიროებს.

განვითარებულ ქვეყნებთან მიმართებაში განათლების სისტემის მდგომარეობისა და ადამიანური პოტენციალის განვითარების შეფასების მიზნით განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს საერთაშორისო პრაქტიკაში მიღებული—ადამიანური პოტენციალის განვითარების ინდექსის გაანალიზებას, რაც საშუალებას გვაძლევს მოკლევადიან პერიოდში შევიმუშაოთ სოციალური სფეროს განვითარების პროგნოზი. ადამიანური პოტენციალის განვითარების ინდექსი (Human Development Index trends /HDI/-სპეი)⁸, - კომბინირებული მაჩვენებელია, რომელიც ახასიათებს ადამიანის განვითარებას მსოფლიოს ცალკეული ქვეყნებისა და რეგიონების მიხედვით, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის (გაეროს) პროგრამების (UNPD) შესაბამისად, რომელიც გამოიყენება ადამიანის განვითარების შესახებ გაეროს სპეციალური სესიების მოხსენებათა ფარგლებში. გაეროს მიერ შემუშავებულ და რეალიზებულ პროგრამათა შორის განსაკუთრებული ადგილი სწორედ ყველაზე ინტელექტუალურ პროდუქტს—ადამიანური პოტენციალის განვითარების კონცეფციას უკავია. აღნიშნული კონცეფციის მიხედვით ადამიანის განვითარება—არჩევანის სპექტრის გაფართოების პროცესია, რომლის მნიშვნელოვანი ელემენტებია: ხანგძლივი და ჯანსაღი ცხოვრება; განათლების მიღება და ცხოვრების ღირსეული პირობები. დამატებით ელემენტებად კი მიღებულია: პოლიტიკური თავისუფლება, ადამიანის გარანტირებული უფლებები, საკუთარი თავის პატივისცემა და აღიარება. შეხედულებათა მოცემული სისტემა ორიენტირებულია ყოველი ადამიანის ცხოვრების ხარისხის ამაღლებაზე, საქმიანობის ყველა სფეროში მისი შესაძლებლობების გაფართოებასა და განვითარებისაკენ. ბოლო პერიოდში დაზუსტებული განმარტებების შესაბამისად ადამიანის განვითარება ასევე დაკავშირებულია მისი თავისუფლების გაფართოებასა და ხანგძლივი, ჯანსაღი, შემოქმედებითი ცხოვრების წესის დამკვიდრებასთან. აპგი—ხშირად გამოიყენება ისეთი

⁶Рейтинг стран мира по уровню расходов на образование. The World Bank: World Development Indicators 2014.

URL: <http://gtmarket.ru/ratings/expenditure-on-education/info>.

⁷საქართველოს ფინანსთა სამინისტრო. საქართველოს საერთო და წაერთი ბიუჯეტის ხარჯების შესრულების მაჩვენებლები ფუნქციონალურ ჭრილში 2014წ. www.mof.ge

⁸United Nations Development Programme. Human Development Index (HDI): <http://hdr.undp.org/en>.

კატეგორიების სინონიმებად როგორცაა „ცხოვრების ხარისხი“, ან „ცხოვრების დონე“. აპგი–ნებისმიერი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისა და ცხოვრების დონის მახასიათებელი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომბინირებული მაჩვენებელია და მისი სიდიდე 2011 წლიდან, მსოფლიო პრაქტიკაში დანერგილი ახალი მეთოდოლოგიის შესაბამისად იანგარიშება სამი ძირითადი მაჩვენებლის (ინდექსის) გამოყენებით. ეს მაჩვენებლებია: 1.სიცოცხლის ხანგძლივობის ინდექსი (ჯანმრთელობის დონე), გაიანგარიშება სიცოცხლის მოსალოდნელი საშუალო ხანგძლივობისა და სიცოცხლის ხანგძლივობის მინიმალური ზღვარის გათვალისწინებით; 2.მოსახლეობის განათლების დონის ინდექსი, რომელიც ითვალისწინებს სიცოცხლის განმავლობაში მიღებული განათლების ხანგძლივობას განათლების თითოეული საფეხურის გათვალისწინებით და სასკოლო ასაკის ბავშვის სწავლის მოსალოდნელ ხანგძლივობას; 3.შემოსავლების ინდექსი მოსახლეობის ერთ სულზე გაანგარიშებით, ასახავს მთლიანი ეროვნული შემოსავლის ფაქტობრივ მოცულობას მოსახლეობის ერთ სულზე გაანგარიშებით, მყიდველობითი უნარიანობის პარიტეტის მიხედვით. ამ ინდექსების შეჯერებით დგინდება საშუალო მაჩვენებელი, რომელიც გამოხატავს აპგი-ს მიხედვით მოცემული ქვეყნის რეიტინგს მსოფლიოში. ასე მაგალითად, 2011 წლიდან საქართველო აღნიშნული ინდექსის დონის მიხედვით (0.733) განვითარების მაღალი დონის⁹ ქვეყნებს მიეკუთვნებოდა და მსოფლიოს გაეროს წევრი 187 ქვეყნიდან 75-ე ადგილზე იმყოფებოდა. მიუხედავად იმისა, რომ პერიოდულად იცვლება ადამიანური პოტენციალის განვითარების ინდექსის გაანგარიშების მექანიზმი და კრიტერიუმები მის შესახებ ხშირად ქვეყნდება ანგარიში სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ მსოფლიოს 187 ქვეყნის რეიტინგის მიხედვით. ასე მაგალითად, მეხიკოს 14 მარტი 2013-გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) ჰუმანური განვითარების 2013წ. ანგარიშის თანახმად, საქართველოს ჰუმანური განვითარების ინდექსი 2012 წ. 0,745-ია, ანუ 187 ქვეყანასა და ტერიტორიას შორის საქართველო 72-ე ადგილზეა. 2010-2012 წწ. საქართველოს ინდექსი 0,698-დან 0,745-მდე, ანუ 6.73%-ით გაიზარდა (იხ. ცხრილი-1).

ცხრილი-1

ადამიანური პოტენციალის განვითარების ინდექსი (აპგი) საქართველოში 2010–2014 წლებში და მისი რეიტინგი¹⁰

მაჩვენებლები	2010	2011	2012	2013	2014
აპგი	0.698	0.733	0.745	0.744	0.754
ქვეყნების რაოდენობა	169	187	187	187	187
რეიტინგი-ადგილი ქვეყნებს შორის	74	75	72	79	76

ქვეყნების ჰუმანური განვითარების 2014 წლის ანგარიშში: „ჰუმანური პროგრესის შენარჩუნება: მოწყვლადობის შემცირება, მედეგობის ზრდა“, რომელიც გამოქვეყნდა ტოკიოში, 2014 წლის 24 ივლისს, 2013 წლის შედეგების მიხედვით საქართველოს ჰუმანური განვითარების ზოგადი მაჩვენებელია 0,744, რაც შეესაბამება მაღალი ჰუმანური განვითარების მქონე ქვეყნების ჯგუფს.

ცხრილი-2

⁹ადამიანური პოტენციალის განვითარების ინდექსის მნიშვნელობის მიხედვით ქვეყნების კლასიფიკაცია ახალი სისტემის მიხედვით ხორციელდება შემდეგნაირად: 0.8-1.0 ადამიანის განვითარების მაღალი დონე, ანუ უმაღლესი; 0.65-0.80 მაღალი დონე; 0.50-0.65 საშუალო დონე; 0.35-0.50 დაბალი დონე.

¹⁰Центр гуманитарных технологий. Информационно-аналитический портал. Программа развития ООН: Индекс человеческого развития в странах мира в 2010,2011,2013,2014г. <http://gtmarket.ru/news/2015/12/16/7285>.

ადამიანური პოტენციალის განვითარების ინდექსი (აპგი) მსოფლიოს ზოგიერთ ქვეყანასა და საქართველოში 2010–2014 წლებში¹¹

ქვეყნები	2010	2011	2012	2013	2014
ძალიან მაღალი დონის აპგი					
ნორვეგია	0.939	0.941	0.943	0.944	0.944
შვეიცარია	0.915	0.914	0.916	0.917	0.930
აშშ	0.908	0.911	0.912	0.914	0.915
გერმანია	0.904	0.908	0.911	0.911	0.916
მაღალი დონის აპგი					
რუსეთი	0.773	0.775	0.777	0.778	0.798
თურქეთი	0.738	0.752	0.756	0.759	0.761
ყაზახეთი	0.747	0.75	0.755	0.757	0.788
საქართველო	0.698	0.733	0.745	0.744	0.754

როგორც ცხრილის მონაცემები გვიჩვენებს 187 ქვეყანასა და ტერიტორიას შორის საქართველო 79-ე ადგილს იკავებს. ამავე ადგილზე არიან ბრაზილია და გრენადა. ადამიანური პოტენციალის განვითარების ინდექსი 2014 წელს კიდევ უფრო გაუმჯობესდა და მისმა მნიშვნელობამ 0.754-ს მიაღწია. როგორც ვხედავთ 2010-2014 წლებში აპგი-ს საქართველოს მაჩვენებელი მთლიანობაში 0.698-დან 0.754-მდე გაიზარდა, ანუ მთლიანმა ზრდამ 8.02%-ს მიაღწია. ძალზე მნიშვნელოვანია საქართველოს რეიტინგის განხილვა განვითარებულ ქვეყნებთან მიმართებაში (**იხ. ცხრილი-3**). როგორც ვხედავთ, ძალიან მაღალი დონის აპგი-ს რეიტინგით (0.80–0,95) გამოირჩევიან ნორვეგია, შვეიცარია, აშშ-ი, გერმანია და სხვა ქვეყნები. ხოლო მაღალი დონის აპგი-ის ქვეყნებში საქართველოს შედარებით მყარი პოზიციები უკავია, თუმცა იგი მაინც ჩამორჩება მეზობელ ქვეყნებს, განსაკუთრებით რუსეთსა და თურქეთს.

ჩვენი გაანგარიშებით, რომელიც განხორციელდა 2011 წლის შემდეგ მოქმედი ახალი მეთოდოლოგიის გამოყენებით და ეფუძნება 2015 წლის მონაცემებს ადამიანური პოტენციალის განვითარების ინდექსის მნიშვნელობა საქართველოში 0,746-ს შეადგენს.

ცხრილი-3

ადამიანური პოტენციალის განვითარების ინდექსი საქართველოში 2015 წლის მონაცემების მიხედვით¹²

მაჩვენებლები	მაქსიმალური მნიშვნელობა	მინიმალური მნიშვნელობა	საშუალო მნიშვნელობა საქართველო
1.სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობა (წელი)	85	20	72.9
2.1.სწავლების საშუალო ხანგრძლივობა (წელი)	13.3	0	12.1
2.2.სწავლების მოსალოდნელი ხანგრძლივობა (წელი)	18	0	13.8

¹¹<http://hdr.undp.org/en/content/table-2-human-development-index-trends-1980-2014>. United Nations Development Programme. Human Development Index (HDI): (<http://hdr.undp.org/en>) for details on how the HDI is calculated.

¹²გაანგარიშებას საფუძვლად დაედო საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემები. www.geostat.ge.

3.მთლიანი ეროვნული შემოსავალი მოსახლეობის ერთ სულზე მყიდველობითი უნარიანობის პარიტეტის მიხედვით (აშშ დოლარი)	75000	100	5628.0
HDI=(LEI*EI*II)^{1/3}=0.746	LEI		0.814
	EI		0.838
	II		0.609

“ახალი მეთოდოლოგიის” საფუძველზე აპგი–ს მნიშვნელობა არითმეტიკულად იანგარიშება სამი ძირითადი მაჩვენებლის, ინდექსის 1.სიცოცხლის ხანგრძლივობის ინდექსის- **LEI**, 2.განათლების ინდექსისა-**EI** (თავის მხრივ მოიცავს 2.1.სწავლის საშუალო ხანგრძლივობის ინდექსსა და 2.2.სწავლის მოსალოდნელი ხანგრძლივობის ინდექსს) და 3.შემოსავლების ინდექსის-**II** საშუალო გეომეტრიულის გამოყენებით, შემდეგი ფორმულის საფუძველზე- **HDI=(LEI*EI*II)^{1/3}**.

მათ შორის:

1. სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობა (LEI):

$$LEI=(LE-LE_{აგ})/(LE_{აგ}-LE_{აგ})=(72.9-20)/(85-20)=0.814$$

2. განათლების დონე- EI=(MYSI+EYSI)/2 მათ შორის:

2.1.სწავლების საშუალო ხანგრძლივობის ინდექსი:

$$MYSI=(MYS-MYS_{აგ})/(MYS_{აგ}-MYS_{აგ})=(12.1-0)/(13.3-0)=0.910$$

2.2.სწავლების მოსალოდნელი ხანგრძლივობის ინდექსი:

$$EYSI=(EYSI-EYSI_{აგ})/(EYSI_{აგ}-EYSI_{აგ})=(13.8-0)/(18-0)=0.767$$

$$EI=(MYSI+EYSI)/2=(0.910+0.767)=0.838$$

3.შემოსავლების ინდექსი

$$II=(\ln(GNIpc)-\ln(100))/(\ln GNI(75000)-\ln(100))=$$

$$=(\ln(5628.0)-\ln(100))/(\ln(75000)-\ln(100))=$$

$$=(8.636-4.605)/(11.225-4.605)=0.609$$

$$HDI=(LEI*EI*II)^{1/3}=(0.814*0.838*0.609)^{1/3}=0.746$$

როგორც ვხედავთ ჩვენი გაანგარიშების შედეგების მიხედვით აპგი–ს მნიშვნელობა 2014 წლის დონესთან (0.754) შედარებით შემცირებულია 0.008 პუნქტით, ანუ 1.06%-ით, რაც ძირითადად განათლების დონისა და სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობის მახასიათებელი მაჩვენებლების შემცირებითაა გამოწვეული, ვინაიდან შემოსავლების ინდექსის მიხედვით აშკარა გაუმჯობესების ტენდენცია შეინიშნება. ბოლო 10 წლის განმავლობაში 2014 წლამდე, სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობა საშუალოდ 74.5 წელს შეადგენდა, ხოლო 2014 წლიდან იგი 72.9 წლამდე შემცირდა¹³.

საქართველოში, საერთოდ განათლების სისტემისა და განსაკუთრებით პროფესიული განათლების სფეროში არსებული მდგომარეობის ანალიზი გვიჩვენებს, რომ სწორედ შრომის ბაზრის მოთხოვნებზე ორიენტირებული პროფესიული კადრების მომზადება და განვითარება უნდა გახდეს ქვეყნის საზოგადოებრივი პოტენციალის განვითარებისა და საბოლოო ჯამში ცხოვრების დონის გაუმჯობესების მთავარი ფაქტორი.

¹³საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. www.geostat.ge.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ილია II. სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი, საკვირაო ქადაგება. ჟურნალი "საპატრიარქოს უწყებანი" N37, 737, 30 ოქტომბერი, 5 ნოემბერი 2014 წელი,
2. ქეთევან ჭკუასელი, ივანე ჭკუასელი, პედაგოგიკის ზოგადი საფუძვლები. გამომცემლობა "ინტელექტი", თბილისი 2012წ.
3. United Nations Development Programme. Human Development Index (HDI): <http://hdr.undp.org/en>.
4. The World Bank: World Development Indicators 2014. URL: <http://gtmarket.ru/ratingsexpenditure-on-education/info>.
5. United Nations Development Programme. Human Development Index (HDI): <http://hdr.undp.org/en>
6. Система образования и тенденции ее развития в различных странах. krip.kbsu.ru/pd/op. 2014.
7. Инновации и современные технологии в системе образования: материалы III международной научно-практической конференции. 20–21 февраля 2013 года. – Прага :Vědecko vydavatelské centrum «So-ciosféra-CZ», 2013 – 351 с.
8. Бондаренко О.В. Современные инновационные технологии в образоваии. www.erono.ru.2014.
9. Центр гуманитарных технологий. Информационно-аналитический портал. Программа развития ООН: Индекс человеческого развития в странах мира в 2010,2011,2013,2014г. <http://gtmarket.ru/news/2015/12/16/7285>.

კანონები და სხვა ნორმატიული აქტები:

- 1.საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია 2020წ. საქართველოს მთავრობა, ნოემბერი 2013წ.
- 2.საქართველოს პრემიერ მინისტრის ბრძანება N300 "პროფესიული განათლების რეფორმის სტრატეგიის დამტკიცების თაობაზე (2013-2020 წლები)", 26 დეკემბერი 2013 წელი;
- 3.საქართველოს მთავრობის განკარგულება №2420 „საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ შრომის ბაზრის მოთხოვნის კვლევის განხორციელების მიზნით გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ“ 2014 წლის 24 დეკემბერი;
- 4.საქართველოს მთავრობის დადგენილება №733 „შრომის ბაზრის საინფორმაციო სისტემის დანერგვისა და განვითარების კონცეფციისა და მისი განხორციელების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“, 2014 წლის 26 დეკემბერი;
- 5.საქართველოს მთავრობის დადგენილება №732 „საქართველოს შრომის ბაზრის ფორმირების სახელმწიფო სტრატეგიისა და საქართველოს შრომის ბაზრის ფორმირების სახელმწიფო სტრატეგიის რეალიზაციის 2015-2018 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“ 2014 წლის 26 დეკემბერი.

სტატისტიკური ინფორმაცია:

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. www.geostat.ge;
 საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, www.mes.gov.ge;
 განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი, www.eqe.ge;
 საქართველოს ფინანსთა სამინისტრო. საქართველოს საერთო და ნაერთი ბიუჯეტის ხარჯების შესრულების მაჩვენებლები ფუნქციონალურ ჭრილში 2014წ. www.mof.ge

 Article received: 2016-04-13